

ICOM-ის სამუზეუმო ეთიკის კოდექსი

ICOM-ის სამუზეუმო ეთიკის კოდექსის ეს ვერსია წარმოადგენს ექვსწლიანი სარედაქციო მუშაობის შედეგს. ICOM-ის კოდექსი საფუძვლიანადაა შეჯერებული თანამედროვე მუზეოლოგიის გამოცდილებასთან. წინა, შესწორებული ვერსია გამოვიდა 2001 წელს და იმთავითვე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, კვლავ მთლიანად იქნა გადამუშავებული. იგი ეყრდნობა სამუზეუმო პროფესიის გამოცდილებას და მოწოდებულია, რომ ზოგადად განსაზღვროს დარგის ეთიკური მხარე. ICOM-ის წევრები კოდექსს განიხილავდნენ სამი კონსულტაციის განმავლობაში. მისი საბოლოო ვერსია მიღებულია ICOM-ის 21-ე გენერალურ ასამბლეაზე, სეულში, 2004 წელს.

ამ საბუთის ზოგადი სულისკვეთება უცვლელი რჩება. მისი უპირველესი მიზანია კვლავაც ემსახუროს, როგორც საზოგადოების თუ ნებისმიერი ტიპის დამთავალიერებლის ინტერესებს, ასევე, სამუზეუმო საქმის მოღვაწეთა პროფესიონალიზმის სრულყოფას. შესწორებული დოკუმენტის სტრუქტურა მნიშვნელოვნადაა შეცვლილი. მასში მეტადაა გამოკვეთილი არსობრივი მომენტები და გამოყენებულია ბევრად მოკლე ფორმულირებები. გლობალური თვალსაზრისით ამ ვერსიაში ცოტა რამაა ახალი. ცვლილებები შეტანილია მე-2 თავის მე-11 მუხლში; ასევე მე-3, მე-5 და მე-6 თავებში.

სამუზეუმო ეთიკის კოდექსი არის პროფესიული ქცევის რეგულირების საშუალება. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს იურიდიულ დოკუმენტად, თუ შესაბამის საკითხთან დაკავშირებით რომელიმე სახელმწიფოს საკანონმდებლო აქტები არასაკმარისია ან საერთოდ არ არსებობს. იგი განსაზღვრავს მინიმალურ მოთხოვნებს, რომლითაც თავის საქმიანობაში შეუძლია იხელმძღვანელოს სამუზეუმო პროფესიის ყველა მუშაკს მთელ მსოფლიოში, ასევე, იმასაც, თუ რას უნდა ელოდეს საზოგადოება მუზეუმისაგან.

ICOM-მა 1970 წელს გამოაქვეყნა თავისი “შექმენის ეთიკა”. ხოლო პროფესიული ეთიკის სრული ვარიანტი გამოიცა 1986 წელს. წინამდებარე ვერსია და მისი წინამორბედი 2001 წლის გამოცემა, ბევრად არის დავალებული წინა ვერსიებისაგან, ხოლო კოდექსის რევიზიისა და შესწორების საქმე მთლიანად ეთიკის კომიტეტის წევრებმა იტვირთეს. მათ იმუშავეს როგორც უშუალოდ სხდომებზე, ასევე ელექტრონული, სატელეფონო თუ საფოსტო კავშირის გამოყენებით. მათ ქვემოთ გაგაცნობთ.

წინამდებარე კოდექსში, ისევე, როგორც მის წინამორბედში, ჩამოყალიბებულია საერთო, მინიმალური, ყველასათვის მისაღები ნორმები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ეროვნულ დონეზე, ასევე სპეციალიზირებული პროფესიული ჯგუფების მიერ მათი სპეციფიკის შესაბამისად. ICOM-ი მიესალმება, ახალი ეროვნული და პროფესიული კოდექსების შექმნას და სიამოვნებით მიიღებს მათ ეგზემპლარებს, რომლებიც უნდა გამოიგზავნოს ICOM-ის გენერალური მდივნის სახელზე შემდეგი მისამართით:

Maison de L'UNESCO, 1 rue Miollis, 75732 Paris cedex 15. France. E-mail: secretariat@com.muzeum

ჯეფრი ლუისი
ICOM-ის ეთიკის კომიტეტის თავმჯდომარე
2004 წ. ნოემბერი

ICOM-ის ეთიკის კომიტეტის წევრები 2001-2004 წლებში თავმჯდომარე:
ჯეფრი ლუისი (დიდი ბრიტანეთი)

წევრები: ჰერი ელსონი (აშშ); პერ კეკსი (შვეცია); ბიუნგ-მო კიმი (კორეის რესპუბლიკა); პასკალ მაკამბილა (კონგო)-2002 წლიდან; ჟან-ივ მარენი

(საფრანგეთი); ბერნის მერფი (ავსტრალია)-2002 წლამდე; ტერეზა შაინერი (ბრაზილია); შაიეა ცილუილა (კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა); მიშელ ვან პრაეტი (საფრანგეთი).

წინასიტყვაობა

სამუზეუმო ეთიკის კოდექსი

წინამდებარე სამუზეუმო კოდექსი შემუშავებულია საერთაშორისო სამუზეუმო საბჭოს მიერ. იგი შეესატყვისება ICOM-ის დებულებებში დეკლარირებულ პრინციპებს, ამავე დროს ასახავს საერთაშორისო სამუზეუმო გაერთიანების ზოგად პრინციპებსაც. ICOM-ის წევრობა და მისი წლიური საგადასახადო წესების დაცვა, ნიშნავს ICOM-ის სამუზეუმო ეთიკის კოდექსის აღიარებასაც.

მინიმალური ნორმები მუზეუმებისათვის

ეთიკის კოდექსი წარმოადგენს მინიმალური ნორმების კრებულს მუზეუმებისათვის. იგი ჩამოყალიბებულია პრინციპების სახით, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს სპეციალისტების პროფესიულ საქმიანობას. ზოგიერთ ქვეყანაში ეს მინიმალური ნორმები ეროვნული კანონით ან რეგლამენტიტაა განსაზღვრული, ზოგან კი აკრედიტაციის ან რაიმე სხვა მსგავსი სისტემითაა ფორმულირებული. მაშინ, როცა ეს ნორმები ადგილობრივ დონეზე განსაზღვრული არ არის, მათი მოპოვება შეიძლება ICOM-ის სამდივნოში ან მის ეროვნულ და შესაბამის საერთაშორისო კომიტეტებში. საბაზო დოკუმენტის სახით ამ კოდექსის გამოყენება შეუძლიათ ცალკეულ ერებს თუ მუზეუმებთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს, თუკი მათ დასჭირდებათ დამატებითი ნორმების შემუშავება.

სამუზეუმო ეთიკის კოდექსის თარგმანის შესახებ

ICOM-ის სამუზეუმო კოდექსი გამოქვეყნებულია ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე. ICOM-ი სასურველად მიიჩნევს კოდექსის სხვა ენებზე თარგმნას. მაგრამ თარგმანი ოფიციალურად ვერ ჩაითვლება, თუკი მან არ გაიარა იმ ქვეყნის, სულ ცოტა, ერთი ეროვნული კომიტეტის აპრობაცია, სადაც იმ კონკრეტულ ენაზე ლაპარაკობენ. თუ ეს ენა რამოდენიმე ქვეყანაშია გავრცელებული, სასურველია, რომ თარგმნილმა ვერსიამ გაიაროს ამ ქვეყნების ეროვნული კომიტეტების კონსულტაცია. აღსანიშნავია ისიც, რომ თარგმანის ოფიციალურად აღიარებისათვის სავალდებულოა საენათმეცნიერო და პროფესიული სამსახურების დახმარება. სავალდებულოა, აგრეთვე, ახალი თარგმანის ენისა და საქმეში ჩართული კომიტეტების მითითება. მიუხედავად ზემოხსენებული მოთხოვნებისა, არ იზღუდება კოდექსის სრულად თუ ნაწილობრივ რომელიმე ენაზე თარგმნა, თუკი ეს მოემსახურება აღმზრდელობით ან კვლევით მიზნებს.

1. მუზეუმები უზრუნველყოფენ ბუნებისა და კაცობრიობის სხვადასხვა სახის კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, დოკუმენტირებას და წარმოჩენას

ძირითადი პრინციპები: მუზეუმებს აკისრიათ პასუხისმგებლობა ბუნებისა და კულტურის მატერიალური თუ სულიერი მემკვიდრეობის მიმართ. ხელმძღვანელი და ყველა სხვა ორგანოს, ვისაც სტრატეგიულად ეხება მუზეუმის ხელშეწყობა ან კონტროლი, უპირველესი ვალდებულებაა, დაიცვას მემკვიდრეობა და უზრუნველყოს მისი მოვლა და წარმოჩენა, აგრეთვე – დარგში მომუშავე ადამიანების ფინანსური თუ ფიზიკური დახმარება.

ინსტიტუციური სტატუსის განსაზღვრა

1.1. იურიდიული სტატუსის განმსაზღვრელი დოკუმენტები

ხელმძღვანელმა ორგანომ ყურადღება უნდა გაამახვილოს იმაზე, რომ ყველა მუზეუმს ჰქონდეს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, დებულება, კონსტიტუცია, ან სხვა რაიმე წერილობითო ოფიციალური დოკუმენტი, სადაც ნათლად იქნება განსაზღვრული მუზეუმის იურიდიული სტატუსი, ამოცანები და აგრეთვე, მისი, როგორც არაკომერციული დაწესებულების პერმანენტული ფუნქციონირების ხასიათი.

1.2. დეკლარაცია ამოცანების, მიზნებისა და პოლიტიკის შესახებ

ხელმძღვანელმა ორგანომ უნდა შეადგინოს და გაავრცელოს დეკლარაცია მუზეუმის ამოცანების, მიზნებისა და პოლიტიკის შესახებ და უნდა შეასრულოს კიდევ ამ დეკლარაციის დებულებები. დეკლარაციით განსაზღვრული უნდა იყოს, აგრეთვე, მუზეუმის დირექციის შემადგენლობა და როლი.

ფიზიკური რესურსები

1.3. სათავსები

ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია მუზეუმი უზრუნველყოს ისეთი შენობითა და სათავსებით, სადაც საგანგებოდ შექმნილი ადეკვატური გარემო-პირობები ხელს შეუწყობს მუზეუმს საკუთარი უმთავრესი მიზნების განხორციელებაში.

1.4. ხელმისაწვდომობა

ხელმძღვანელი ორგანო მუდმივად უნდა ცდილობდეს, რომ მუზეუმი და იქ დაცული კოლექციები ყველასათვის ხელმისაწვდომი იყოს დროის მოსახერხებელი მონაკვეთის განმავლობაში. განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდოს სპეციფიკური მოთხოვნების მქონე სუბიექტებთან ურთიერთობას.

1.5. სანიტარული და უსაფრთხოების ნორმების დაცვა

ხელმძღვანელი ორგანო განსაკუთრებით უნდა ზრუნავდეს მუზეუმის პერსონალისა და დამთვალიერებლებისათვის სანიტარული, უსაფრთხოებისა და მუზეუმებისა და კოლექციების ხელმისაწვდომობის ნორმების დაცვაზე.

1.6. უბედური შემთხვევების თავიდან აცილების პროფილაქტიკა

ხელმძღვანელმა ორგანომ უნდა შეიმუშაოს საგანგებო პოლიტიკა, რათა მუზეუმის დამთვალიერებლები, პერსონალი, კოლექციები და სხვა სიმდიდრე დაიცვას უბედური შემთხვევებისა თუ ბუნებისა და ადამიანისგან მიყენებული შესაძლო ზიანისგან.

1.7. უსაფრთხოების ზომები

ხელმძღვანელმა ორგანომ უნდა მიიღოს სათანადო ზომები კოლექციების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. თავიდან უნდა აიცილოს ვიტრინებიდან, საექსპოზიციო დარბაზებიდან, საფონდო საცავებიდან, სამუშაო ოთახებიდან და ტრანსპორტირებისას ნივთების შესაძლო ქურდობა და დაზიანება.

1.8. დაზღვევა და კომპენსაცია

იმ შემთხვევაში, როდესაც კოლექციებს აზღვევს კერძო კომპანია, ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია, გადაამოწმოს დაზღვევის პირობები და დარწმუნდეს, რომ სადაზღვევო თანხა რისკის ადექვატურია, განსაკუთრებით მათი დროებითი გადაცემის ან ტრანზიტის დროს. საკომპენსაციო თანხის განსაზღვრისას ხელშეკრულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს ის ნივთებიც, რომლებიც მუზეუმის საკუთრებას არ წარმოადგენს, მაგრამ რომლებზეც ამჯერად მას აკისრია პასუხისმგებლობა.

დაფინანსების წყაროები

1.9. დაფინანსება

ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია მოიპოვოს სახსრები მუზეუმის საქმიანობის წარმართვისა და განვითარებისათვის. თანხების განკარგვა უნდა მოხდეს მხოლოდ პროფესიული მართვის საფუძველზე.

1.10. კომერციული პოლიტიკა

ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია იქონიოს წერილობითი დებულება, სადაც განსაზღვრული იქნება საკუთარი საქმიანობის შედეგად თუ სხვა საშუალებით მიღებული მუზეუმის ნებისმიერი საგარაუდო შემოსავალი. როგორც არ უნდა იყოს დაფინანსების წყაროები, მუზეუმმა მუდმივად უნდა აკონტროლოს, თუ რამდენად შეესაბამება ფინანსების რაოდენობა და ხარჯვა მუზეუმის გეგმებს, ექსპოზიციების მოწყობისა და მისი სხვა მოღვაწეობის სპეციფიკას. მუზეუმის შემოსავლის მომტანი საქმიანობა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მიღებულ ნორმებს და ზიანი არ უნდა მოუტანოს არც დაწესებულებას და არც მის დამთვალეებელს. (6.6)

თანამშრომლები (პერსონალი)

1.11. თანამშრომელთა სამუშაოზე მიღების პოლიტიკა

ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია, თანამშრომლების სამუშაოზე მიღება რეგლამენტირებული იყოს მუზეუმის პოლიტიკის შესაბამისად და ეყრდნობოდეს კანონის მოთხოვნებს.

1.12. დირექტორისა და პასუხისმგებელი პირის დანიშვნა

მუზეუმის დირექტორის პოსტი წამყვანი თანამდებობაა, ამიტომაც დირექტორის დანიშვნისას ხელმძღვანელმა ორგანომ უნდა გაითვალისწინოს, თუ რამდენად შეესატყვისება კონკრეტული პირის ცოდნა და კომპეტენცია აღნიშნულ თანამდებობას. კანდიდატურის ინტელექტუალურ შესაძლებლობებსა და პროფესიონალიზმს უნდა ავსებდეს უნაკლო ეთიკური ქცევა.

1.13. ხელმძღვანელი ორგანოს მისაწვდომობა

მუზეუმის დირექტორსა თუ პასუხისმგებელ პირს უნდა ჰქონდეს შესაბამის ხელმძღვანელ ორგანოსთან უშუალო ურთიერთობისა და ანგარიშგების საშუალება.

1.14. მუზეუმის თანამშრომლების კომპეტენცია

მუზეუმს უნდა ჰყავდეს მხოლოდ სათანადო ცოდნით აღჭურვილი, მაღალკვალიფიციური თანამშრომლები, რომ მათ შეძლონ მათზე დაკისრებული მოვალეობის სრულფასოვნად შესრულება (2.18. 2.3. და 8.12).

1.15. პროფესიული კადრების აღზრდა

მუზეუმის თანამშრომლების კვალიფიკაციისა და საქმიანობის ეფექტურობის შენარჩუნების მიზნით სავალდებულოა, რომ მად მიეცეთ უწყვეტი განათლებისა და პროფესიონალიზმის ამადლების საშუალება.

1.16. ეთიკური კონფლიქტი

დაუშვებელია, რომ მუზეუმის ხელმძღვანელმა ორგანომ მუზეუმის თანამშრომლებს მოსთხოვოს ის, რაც შეიძლება ჩაითვალოს ეროვნული კანონების, ICOM-ის სამუზეუმო ან ეთიკის სხვა ნებისმიერი კოდექსის მოთხოვნების დარღვევად.

1.17. თანამშრომლები და მოხალისეები

თუ მუზეუმი იყენებს მოხალისეთა დახმარებას, მაშინ მისი ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია შეიმუშაოს წესდება, რომელიც ხელს შეუწყობს მუზეუმის თანამშრომლებსა და მოხალისეთა შორის ჰარმონიული ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

1.18. მოხალისეები და პროფესიული ეთიკა

იმ შემთხვევაში, როდესაც მუზეუმი საკუთრივ სამუზეუმო, ან სხვა საქმეში დასახმარებლად მიმართავს მოხალისეებს, იგი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ისინი კარგად იცნობენ ICOM-ის სამუზეუმო ეთიკის კოდექსს, აგრეთვე, ეთიკის სხვა კოდექსებსა და მოქმედ კანონმდებლობას.

2. მუზეუმები იცავენ და ინარჩუნებენ კოლექციებს საზოგადოების სასიკეთოდ და მისი განვითარებისათვის

ძირითადი დებულება: მუზეუმი შეიძენს, იცავს და ინახავს საკუთარ კოლექციებს ბუნების, კულტურული და სამეცნიერო მემკვიდრეობის გადარჩენის მიზნით. სამუზეუმო კოლექციები წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საერთო-ზოგადოებრივ მემკვიდრეობას, გააჩნია განსაკუთრებული სამართლებრივი სტატუსი და დაცულია საერთაშორისო კანონებით. სახელმწიფოს მიზანია, გონივრული მართვით უზრუნველყოს საკუთრების კანონიერება, მუდმივობა, დოკუმენტირება, მისაწვდომობა და განკარგვაზე პასუხისმგებლობა.

კოლექციების შევსება

2.1. კოლექციების გამდიდრების პოლიტიკა

ყველა მუზეუმის ხელმძღვანელმა ორგანომ უნდა შეიმუშაოს და გამოაქვეყნოს დებულება კოლექციების შევსების, დაცვისა და გამოყენების შესახებ. ტექსტში გარკვეული უნდა იყოს იმ ნივთების შეძენასთან დაკავშირებული პირობებიც, რომლებიც არ ექვემდებარება კატალოგიზაციას, დაცვას ან გამოფენას (2.7 და 2.8).

2.2. საკუთრების ნამდვილი უფლება

დაუშვებელია, რომ მუზეუმმა შეიძინოს, საჩუქრად ან ანდერძით მიიღოს, ითხოვოს ან გაცვალოს რაიმე ნივთი ან ნიმუში, თუ დარწმუნებული არ იქნება, რომ იგი წარმოადგენს კანონიერი საკუთრების საგანს. ზოგიერთ ქვეყანაში ნივთის ფლობის ფაქტი შესაძლებელია არ ნიშნავდეს, რომ საქმე გვაქვს კანონიერ საკუთრებასთან.

2.3. წარმომავლობა და მისი ზედმიწევნით გამოკვლევის ვალდებულება

შეძენის, ჩუქების, თხოვების, გაცვლის გზით რაიმე ნივთის ან ნიმუშის შეძენამდე, ან ანდერძით მიღებამდე, ზუსტად უნდა იქნეს გარკვეული, რომ იგი არ არის არალეგალურად მოპოვებული (ან უკანონოდ ექსპორტირებული) თავისი წარმოშობის ან სატრანზიტო ქვეყნიდან, სადაც მას შეიძლება ჰყოლოდა კანონიერი მესაკუთრე (იგულისხმება ის ქვეყანაც, სადაც მდებარეობს მუზეუმი). ამიტომ, საჭიროა ნივთის სრული ისტორიის ზედმიწევნით შესწავლა, მოყოლებული მისი აღმოჩენისა თუ შექმნის დღიდან.

2.4. არამეცნიერული ან უნებართვო სამუშაოების შედეგად მოპოვებული ნივთი ან ნიმუში

მუზეუმმა არ უნდა შეიძინოს ნივთი, თუკი არსებობს ეჭვის საფუძველი, რომ იგი მოპოვებულია არქეოლოგიური ან გეოლოგიური ძეგლის ან ობიექტის, რაიმე სახეობის ან ადამიანის ბუნებრივი საცხოვრისისკენ მიმართული უკანონო ან წინასწარგანზრახული დამახინებელი, გამანადგურებელი ან არამეცნიერული ქმედებების შედეგად. ამასთან, მუზეუმმა არ უნდა შეიძინოს ისეთი ნივთი, რომლის აღმოჩენის ფაქტი უცნობი იყო მიწის იმ ნაკვეთის მესაკუთრის თუ დამქირავებლისათვის, სადაც აღმოჩნდა ნივთი, ან შესაბამისი სახელისუფლო თუ სამთავრობო სტრუქტურებისათვის.

2.5. მასალა, რომელიც მოითხოვს ფაქიზ დამოკიდებულებას

დაუშვებელია მუზეუმმა შეიძინოს კოლექცია, რომელიც შედგება ადამიანის ნაშთების ან საკრალური ნივთებისაგან, თუ მას არა აქვს მათი სათანადო დაცვისა და მათდამი პატივისცემით მოპყრობის საშუალება; ეს უნდა გაკეთდეს პროფესიული ნორმების სრული დაცვით და შესაბამისი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, იმ ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფების რწმენისა და ინტერესების გათვალისწინებით, ვისგანაც მომდინარეობს ეს ნივთები (3.7 და 4.3).

2.6. ბიოლოგიური და გეოლოგიური ნიმუშების დაცვა

დაუშვებელია მუზეუმმა შეიძინოს ბიოლოგიური და გეოლოგიური ნიმუშები, თუ ისინი შეგროვებული, გაყიდული, ან გადაცემულია ადგილობრივი, ეროვნული ან რეგიონული კანონებისა და დაცვის შესახებ საერთაშორისო შეთანხმებების დარღვევით.

2.7. ცოცხალი ნიმუშების კოლექციები

იმ შემთხვევაში, როდესაც კოლექცია შეიცავს ცოცხალ ბოტანიკურ ან ზოოლოგიურ ნიმუშებს, მათი დაცვისას აუცილებელია თითოეულის ბუნებრივი და სოციალური გარემოს გათვალისწინება. საჭიროა, აგრეთვე, ფლორისა და ფაუნის სახეობებისა და გარემოს დაცვის შესახებ ადგილობრივი, ეროვნული ან რეგიონული კანონებისა და საერთაშორისო შეთანხმებების დაცვა.

2.8. მოქმედი კოლექციები

კოლექციების შესახებ სახელმწიფოს პოლიტიკა შეიძლება გულისხმობდეს განსაკუთრებულ მიდგომას გარკვეული ტიპის მუზეუმებისადმი, სადაც უპირატესობა ენიჭება უფრო კულტურულ, სამეცნიერო ან ტექნიკურ მოვლენებს ვიდრე ნივთს, ან სადაც საგნები და ნიმუშები გამოიყენება მხოლოდ სასწავლო მიზნებისათვის (2.1).

2.9. შეძენის შემთხვევები, რომლებიც სცდება კოლექციების შესახებ მუზეუმის პოლიტიკის ფარგლებს

შეძენა, რომელიც არ ჯდება მუზეუმის მიერ დეკლარირებული პოლიტიკის ფარგლებში, უნდა მოხდეს მხოლოდ გამონაკლისის სახით. ამ შემთხვევაში აუცილებლად გასათვალისწინებელია სპეციალისტების თვალსაზრისი ნივთისა თუ

ნიმუშის შესახებ, გასარკვევია მისი მნიშვნელობა ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობისათვის. საჭიროა, აგრეთვე დაინტერესებული მხარეებისა და იმ მუზეუმების სპეციფიკური ინტერესების გათვალისწინება, რომლებიც აგროვებენ ამავე ტიპის ნიმუშებს. დაუშვებელია ისეთი ნივთების შექმნა, რომელთა კუთვნილების საკითხი მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი არ არის.

2.10. ხელმძღვანელი ორგანოს წევრების ან მუზეუმის თანამშრომელთა მიერ ნივთების შექმნა

განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო ხელმძღვანელი ორგანოს წევრების, მუზეუმის თანამშრომლების, მათი ოჯახებისა ან ახლობლების მიერ მუზეუმისათვის ნივთის მიყიდვის, ჩუქების ან სხვა ნებისმიერი ფორმით შეთავაზების შემთხვევაში, თუკი ეს აქტი ამ პირებისათვის საგადასახადო შეღავათების მიღების შესაძლებლობას იძლევა.

კოლექციების გასხვისება

2.12. გასხვისების კანონიერი და სხვა შემთხვევები

იმ შემთხვევაში, თუკი მუზეუმს გააჩნია გასხვისების იურიდიული უფლება, ან თუ ნივთი შექმნილია შესაძლო გასხვისების პირობით, მუზეუმი ვალდებულია მკაცრად დაიცვას კანონის და ყველა სხვა მოთხოვნა და პროცედურა. თუ საწყისი შექმნის პირობა გარკვეულ შეზღუდვებთან იყო დაკავშირებული, ისინი აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გარკვევითაა დასაბუთებული აღნიშნული პირობების შესრულების შეუძლებლობა ან, თუ მათი დაცვა პრინციპულად მიუღებელია დაწესებულებისათვის. თუმცა, ასეთ შემთხვევაშიც – მუზეუმის გათავისუფლება მსგავსი შეზღუდვებისაგან შეიძლება მხოლოდ სათანადო იურიდიული პროცედურების დაცვის გზით.

2.13. მუზეუმის კოლექციების გასხვისება

ნივთისა და ნიმუშის კოლექციიდან ამოღება უნდა მოხდეს მხოლოდ მათი მნიშვნელობის, კოლექციების ხასიათის (განახლებადია თუ არა) და მუზეუმის პასუხისმგებლობის იურიდიული ნორმების შესაბამისად. დაუშვებელია, რომ გასხვისების ფაქტმა გამოიწვიოს გაუგებრობა ან განხორციელდეს საზოგადოებრივი ინტერესის უგულებელყოფით.

2.14. გასხვისებასთან დაკავშირებული ვალდებულებანი

გასხვისების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობა აკისრია ხელმძღვანელ ორგანოს, რომელიც მოქმედებს მუზეუმის დირექტორთან და აღნიშნული კოლექციის მცველთან შეთანხმებით. შესაძლოა მოქმედი კოლექციებისათვის დაშვებული იქნეს სპეციფიკური პირობები.

2.15. კოლექციიდან ამოღებული ცალკეული ნივთების გასხვისება

ყველა მუზეუმს განსაზღვრული უნდა ჰქონდეს პოლიტიკა ცალკეული ნივთის კოლექციებიდან საბოლოოდ ამოღების შესახებ, იქნება ეს ჩუქება, გადაცემა, ამოღება, რაც გულისხმობს საკუთრების უფლების გადაცემას სხვა მიმღები პირისათვის. გასხვისების შესახებ ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს დეტალური წერილობითი ანგარიშის სახით, სადაც აღწერილი იქნება თითოეული ნივთი და განხილული იქნება მათი მომავალი ბედი. გასათვალისწინებელია, აგრეთვე, რომ გასხვისება უნდა მოხდეს სხვა მუზეუმის უპირატესი შესყიდვის უფლების გათვალისწინებით და მის სასარგებლოდ.

2.16. კოლექციების გასხვისებიდან შემოსული მოგება

იმის გამო, რომ სამუზეუმო კოლექციები წარმოადგენს საერთო-საზოგადოებრივ საკუთრებას, დაუშვებელია მათი ფინანსური აქტივის სახით განხილვა.

კოლექციიდან ნივთის გასხვისების შედეგად შემოსული თანხები ან კომპენსაცია უნდა მოხმარდეს მხოლოდ და მხოლოდ სამუზეუმო კოლექციებს, კერძოდ, ახალი ნივთების შექმნას.

2.17. კოლექციებიდან ამოღებული ნივთების შექმნა

დაუშვებელია, რომ მუზეუმის თანამშრომლებმა, ხელმძღვანელი ორგანოს წარმომადგენლებმა, მათი ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა შეიძინონ იმ კოლექციებიდან ამოღებული ნივთები, რომლებზედაც ვრცელდება ამ პირების პასუხისმგებლობა.

კოლექციების დაცვა

2.18. კოლექციების მუდმივობა

მუზეუმის პოლიტიკით განსაზღვრული უნდა იყოს, რომ სამუზეუმო (მუდმივი თუ დროებითი) კოლექციები, ასევე, მათთან დაკავშირებული, კორექტულად შედგენილი ყოველგვარი საბუთი, მომავალ თაობებს უნდა გადაეცეს რაც შეიძლება საუკეთესო მდგომარეობაში. ყოველივე ეს უნდა კეთდებოდეს ჩვენს ხელთ არსებული ყველა საშუალებისა და ცოდნის გამოყენებით.

2.19. კოლექციებზე პასუხისმგებლობის სხვაზე გადაცემა

კოლექციების დაცვის პასუხისმგებლობა უნდა ეკისრებოდეს აუცილებელი ცოდნითა და კომპეტენციით აღჭურვილ, ან სათანადოდ მომზადებულ პირებს (8.11).

2.20. კოლექციების დოკუმენტაცია

სამუზეუმო კოლექციების დოკუმენტირება უნდა ხდებოდეს მიღებული პროფესიული ნორმების შესატყვისად. დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს ყველა ნივთის, მისი თითოეული ნაწილისა თუ მასთან დაკავშირებული ელემენტის სრულ აღწერას, ინფორმაციას მისი წარმომავლობის, დაცულობის მდგომარეობის, „ქირურგიული ჩარევისა“ და შენახვის ადგილის შესახებ. დოკუმენტაცია უნდა ინახებოდეს უსაფრთხო ადგილას და აღჭურვილი იყოს საძიებო სისტემით, რათა მუზეუმის თანამშრომლებსა და მისი გაცნობის ნებართვის მქონე სხვა მომხმარებლებს გაუადვილდეთ მასალის ნახვა.

2.21. კატასტროფებისაგან დაცვის ღონისძიებები

ცალკე უნდა შემუშავდეს შეიარაღებული კონფლიქტის დროს დაზიანების თუ სხვა ადამიანური ფაქტორის ან სტიქიური უბედურებისაგან კოლექციების დაცვის პოლიტიკა.

2.22. კოლექციებისა და მათთან დაკავშირებული დოკუმენტაციის უსაფრთხოება

როდესაც კოლექციებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის, განსაკუთრებული ყურადღება და კონტროლია საჭირო, რომ არ მოხდეს პირადი ან სხვა კონფიდენციალური ინფორმაციის გახმაურება.

2.23. პრევენციული კონსერვაცია

პრევენციული კონსერვაცია არის სამუზეუმო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილი კოლექციების დაცვის საქმეში. სამუზეუმო პროფესიის წარმომადგენლების ვალდებულებაა მუზეუმის ექსპოზიციებში, საცავებში თუ ტრანსპორტირებისას, მათი პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფ კოლექციებს შეუქმნან და შეუნარჩუნონ დაცვის აუცილებელი გარემო-პირობები.

2.24. კოლექციების კონსერვაცია და რესტავრაცია

მუზეუმის მოვალეობაა, რეგულარულად ადევნოს თვალყური კოლექციებს, რათა საჭიროების შემთხვევაში, პროფესიონალმა კონსერვატორ-რესტავრატორმა დროულად აღმოუჩინოს კვალიფიციური დახმარება ექსპონატს. ამგვარი ჩარევის უმთავრესი მიზანი უნდა იყოს ნივთისა თუ ნიმუშის მდგომარეობის სტაბილიზება. კონსერვაციის ყოველი მეთოდი მაქსიმალურად შექცევადი და დაწვრილებით დოკუმენტირებული უნდა იყოს. ნათლად უნდა განირჩეოდეს ნივთისა თუ ნიმუშის ნებისმიერი გარეგნული ტრანსფორმაცია.

2.25. ცხოველებისათვის ბუნებრივ საარსებო გარემოსთან მიახლოებული პირობების შექმნის აუცილებლობა

მუზეუმს, რომელსაც ჰყავს ცხოველები, აკისრია სერიოზული ვალდებულება იზრუნოს მათ ჯანმრთელობაზე და შეუქმნას საარსებო გარემოსთან მიახლოებული პირობები. მუზეუმმა უნდა შეიმუშაოს დამთავალიერებელთა, მომსახურე პერსონალისა და ცხოველების უსაფრთხოების კოდექსი, რომელიც მოწონებული უნდა იქნეს ვეტერინარული სამსახურის სპეციალისტის მიერ. ამასთან, შესაძლებელი უნდა იყოს ყოველი გენეტიკური ცვლილების იდენტიფიცირება.

2.26. მუზეუმების კოლექციების გამოყენება პირადი მოხმარების მიზნით

დაუშვებელია, რომ მუზეუმის თანამშრომლებმა, ხელმძღვანელი ორგანოს წარმომადგენლებმა, მათი ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა პირადი მოხმარებისათვის (თუნდაც დროებით) გამოიყენონ მუზეუმის კუთვნილი ნივთები.

3. მუზეუმები ფლობენ უმნიშვნელოვანეს ნივთიერ მასალებს განათლებისა და ცოდნის გაღრმავების მიზნით

მთავარი პრინციპი: მუზეუმებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია საზოგადოების წინაშე უმნიშვნელოვანესი ნივთიერი მასალების დაცვის, მისაწვდომობისა და ინტერპრეტაციის საქმეში.

უმნიშვნელოვანესი ნივთიერი მასალები

3.1. კოლექციების უმნიშვნელოვანესი ნივთიერი მასალების ერთობლიობა

მუზეუმის პოლიტიკაში კოლექციების შესახებ ნათლად უნდა იყოს გამოკვეთილი მათი, როგორც პირველხარისხოვანი ნივთიერი მასალის მნიშვნელობა. და ეს არ უნდა იყოს დამოკიდებული დროებით ინტელექტუალურ ტენდენციებზე ან მუზეუმის ტრადიციაზე.

3.2. კოლექციების ხელმისაწვდომობა

მუზეუმების სპეციფიკური ვალდებულებაა, თავისუფლად ხელმისაწვდომი გახადონ კოლექციები და მათთან დაკავშირებული დოკუმენტაცია; მაგრამ, ამავე დროს, უნდა გაითვალისწინონ კონფიდენციალურობისა და უშიშროების ნორმები.

კოლექციების შევსება და კვლევა მუზეუმებში

3.3. შეგროვება საველე პირობებში

იმ შემთხვევაში, როდესაც კოლექციის გამდიდრების მიზნით, მუზეუმი აპირებს საველე სამუშაოების დაგეგმვას, მას წინასწარ უნდა ჰქონდეს შემუშავებული ამ საქმიანობის შესატყვისი პოლიტიკა, სადაც გათვალისწინებული იქნება, როგორც სამეცნიერო ნორმები, ასევე, ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის მოთხოვნები. საველე პირობებში შეგროვება აუცილებლად უნდა

ხორციელდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის თვალსაზრისით, კულტურული ტრადიციების პატივისცემითა და ბუნებრივი რესურსების გათვალისწინებით. ამასთან, საჭიროა გარკვეული ძალისხმევა მოპოვებული მასალის სათანადოდ პოპულარიზაციისათვის.

3.4. განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ნივთიერი საბუთების შეგროვების საგანგებო შემთხვევები

არის შემთხვევები, როდესაც გაურკვეველი წარმომავლობის ნივთი ან ნიმუში თავისთავად იმდენად საინტერესოა შესასწავლად, რომ საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საჭირო ხდება მისი შენარჩუნება. ამ ნივთის შექმნაზე მუზეუმის თანხმობა დამოკიდებულია შესაბამისი დარგის სპეციალისტების მიუკერძოებელ და ობიექტურ, მხოლოდ სამეცნიერო ინტერესით განპირობებულ გადაწყვეტილებაზე (2.11).

3.5. კვლევა

კვლევითი სამუშაოები, რომლებსაც მუზეუმის თანამშრომლები აწარმოებენ, უნდა ეთანხმებოდეს მუზეუმის მიზნებსა და ამოცანებს, არსებულ იურიდიულ, ეთიკურ და სამეცნიერო ნორმებს.

3.6. კვლევის დესტრუქციული მეთოდები

იმ შემთხვევაში, როდესაც მუზეუმი მიმართავს კვლევის ე.წ. დესტრუქციულ მეთოდებს, ინფორმაცია ასეთი ანალიზისა და კვლევის შედეგებზე, ისევე, როგორც ყველა პუბლიკაცია, აუცილებლად უნდა შევიდეს ნივთის დაცულობის მდგომარეობის ამსახველ დოკუმენტაციაში.

3.7. ადამიანის ნაშთები და საკრალური ნივთები

ადამიანის ნაშთებისა და საკრალური მნიშვნელობის მქონე ნივთების გამოკვლევა უნდა ხდებოდეს პროფესიული ნორმების დაცვით, ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფების რწმენის და ამასთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

3.8. კვლევითი სამუშაოების ჩატარების უფლება

როდესაც მუზეუმის მუშაკები ამზადებენ ნივთებს პრეზენტაციისათვის, ან სავსე პირობებში აწარმოებენ ანკეტირებასა და დოკუმენტირებას, სავალდებულოა მკაფიოდ ფორმულირებული შეთანხმების გაფორმება იმ მუზეუმთან, რომელიც პასუხისმგებელია ჩატარებულ სამუშაოზე.

3.9. ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება

სამუზეუმო პროფესიის წარმომადგენელთა ვალდებულნი არიან, საკუთარი ცოდნა და გამოცდილება გაუზიარონ თავიანთ კოლეგებს, შესაბამისი დარგების მკვლევარებსა და სტუდენტებს. პატივი სცენ და წარმოაჩინონ პიროვნებები, რომელთაგანაც მიღებული აქვთ ცოდნა; სხვებსაც გააცნონ ტექნიკის უახლესი მიღწევები და მათი გამოყენების გამოცდილება.

3.10. მუზეუმებს შორის და სხვა დაწესებულებებთან თანამშრომლობა

სავალდებულოა, რომ მუზეუმის თანამშრომლებმა ხელი მოაწერონ შეთანხმებას მსგავსი ინტერესების და კოლექციების შეგროვების პრაქტიკის მქონე სხვა მუზეუმებსა და დაწესებულებებთან ურთიერთკოორდინირებული მუშაობის შესახებ. განსაკუთრებით სასურველია საუნივერსიტეტო და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, სადაც შესაძლებელია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კოლექციებისა და ნივთების კვლევა.

4. მუზეუმები ხელს უწყობენ ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების აღქმას, შესწავლასა და პოპულარიზაციას

მთავარი პრინციპი: მუზეუმებს აკისრია ძალზე მნიშვნელოვანი ვალდებულება, განავითაროს თავისი აღმზრდელობითი როლი და მოიზიდოს საზოგადოების რაც შეიძლება ფართო ფენები: სხვადასხვა ტიპის გაერთიანებები, ადგილობრივი მოსახლეობა თუ ლოკალური ჯგუფები. მათთან თანამშრომლობა და მათი მემკვიდრეობის გამოვლენა მუზეუმის საგანმანათლებლო ფუნქციის განუყოფელი ნაწილია.

პრეზენტაცია და ექსპონირება

4.1. პრეზენტაციები, გამოფენები და საეციალური აქტივობები

მატერიალური თუ ვირტუალური ხასიათის პრეზენტაციები და დროებითი გამოფენები უნდა შეესაბამებოდეს მუზეუმის მიერ დეკლარირებულ მიზნებს, პოლიტიკასა და ამოცანებს. დაუშვებელია, რომ ამ ღონისძიებებმა ზიანი მიაყენოს კოლექციების ხარისხს, მათი დაცვისა და შენახვის პირობებს.

4.2. ექსპონატების ინტერპრეტაცია

მუზეუმი ვალდებულია, რომ გამოფენილი ექსპონატების შესახებ ნებისმიერი ტექნიკური საშუალებით წარმოდგენილი ინფორმაცია იყოს დასაბუთებული და ზუსტი; აგრეთვე, იძლეოდეს შესაბამის ცნობებს ამ მასალით წარმოდგენილი საზოგადოების ჯგუფებისა და მათი რწმენის შესახებ.

4.3. სათუთი ნიმუშების ექსპონირება

ადამიანის ნაშთებისა და საკრალური ნივთების ექსპონირება უნდა ხდებოდეს პროფესიული ნორმების დაცვით, ტაქტითა და ადამიანური ღირსების პატივისცემით, იმ ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფების რწმენისა და ინტერესების (თუკი ისინი ცნობილია) გათვალისწინებით, საიდანაც ეს ნივთები მომდინარეობს.

4.4. საჯარო პრეზენტაციაზე უარის თქმა

მუზეუმი ვალდებულია გულისხმიერებით, პატივისცემითა და გაგებით მოეკიდოს კონკრეტული ჯგუფების მოთხოვნას მათგან მომდინარე საკრალური ნივთებისა და ადამიანების ნაშთების ექსპოზიციიდან ამოღების შესახებ. ასეთივე მიდგომაა საჭირო ნივთების დაბრუნების თხოვნის შემთხვევაშიც. მუზეუმის პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს მსგავს სიტუაციებს და მკაფიოდ უნდა ჰქონდეს განსაზღვრული, თუ როგორ მოიქცეს ასეთ შემთხვევაში.

4.5. გაურკვეველი წარმომავლობის ნიმუშების პრეზენტაცია

მუზეუმმა თავი უნდა შეიკავოს გაურკვეველი წარმომავლობის ნიმუშების პრეზენტაციისა და გამოყენებისაგან. მას შეეძლება უნდა ჰქონდეს, რომ მსგავსი მასალის გამოფენამ ან რაიმე სხვა სახით გამოყენებამ შეიძლება ხელი შეუწყოს კულტურული ფასეულობებით არაკანონიერ ვაჭრობას.

სხვა რესურსები

4.6. პუბლიკაცია

მუზეუმის მიერ ნებისმიერი ტექნიკური საშუალების გამოყენებით გამოქვეყნებული ყველა ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტი და ობიექტური, უნდა ემყარებოდეს კომპლექსური სამეცნიერო კვლევის შედეგებს, შეიცავდეს ინფორმაციას იმ ჯგუფებსა და მათ რწმენაზე, ვისგანაც მომდინარეობს გამოფენილი მასალა.

მუზეუმის პუბლიკაციები არაფრით უნდა ეწინააღმდეგებოდეს დაწესებულების მიერ აღიარებულ ნორმებს.

4.7. რეპროდუქციები

მუზეუმის მიერ კოლექციის ექსპონატთა რეპლიკების, რეპროდუქციების ან ასლების დამზადების შემთხვევაში, აუცილებელია ასლი შეესაბამებოდეს ორიგინალს და ნაწარმზე აღნიშნული უნდა იყოს შესაბამისი ფაქსიმილე.

5. მუზეუმები ფლობენ რესურსებს, საზოგადოების სასარგებლოდ სერვისის გაფართოებისათვის

მთავარი პრინციპები: მუზეუმები იყენებენ სპეციალობების, კომპეტენციების და მატერიალური რესურსების ფართო სპექტრს, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საკუთრივ მუზეუმის ფარგლებს, რასაც შეიძლება მოჰყვეს რესურსებისა და მომსახურების გადანაწილება და შედეგად – მუზეუმის აქტივობების გაზრდა. მნიშვნელოვანია, რომ ასეთ შემთხვევაში არ მოხდეს მუზეუმების მიზნებისა და ინტერესების იგნორირება.

საიდენტიფიკაციო სერვისი

5.1. არალეგალურად შეძენილი ნივთების იდენტიფიკაცია

იმ შემთხვევაში, როდესაც მუზეუმს გააჩნია ნივთების საიდენტიფიკაციო სამსახური, დაუშვებელია მისი გამოყენება მუზეუმისათვის პირდაპირი და არაპირდაპირი შემოსავლის მისაღებად. არ შეიძლება საეჭვო წარმომავლობის ანუ არალეგალურად შეძენილი, გადაცემული ან გატანილი ნივთის იდენტიფიკაციის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება სათანადო კომპეტენციის მქონე სამსახურების მიერ ამ ნივთების კონფისკაციამდე.

5.2. აუთენტიფიკაცია და შეფასება

მუზეუმს შეუძლია ჩაატაროს საკუთარი კოლექციების ექსპერტიზა. სხვა ნივთების მონეტარული ღირებულების დადგენა მუზეუმს შეუძლია მხოლოდ სხვა მუზეუმის, იურიდიული, სამთავრობო ან სხვა საჯარო სამსახურების ოფიციალური მოთხოვნის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, როდესაც მუზეუმი თვითონ არის რაიმე ახალი ნივთის ან ნიმუშის მიმღები, ექსპერტიზისათვის უნდა მიმართოს დამოუკიდებელ საექსპერტო სამსახურს.

6. მუზეუმები მჭიდროდ თანამშრომლობენ საზოგადოების იმ ჯგუფებთან და სხვადასხვა ტიპის გაერთიანებებთან, საიდანაც მომდინარეობს მათი კოლექციები და აგრეთვე, ემსახურებიან მათ

მთავარი პრინციპები: მუზეუმების კოლექციების მნიშვნელობა სცილდება ჩვეულებრივი საკუთრების ფარგლებს, რადგანაც ისინი წარმოადგენს ბუნების და მთელი იმ საზოგადოების კულტურულ მემკვიდრეობას, საიდანაც წარმოდგება და ამდენად ეროვნული, რეგიონული, ლოკალური, ეთნიკური, რელიგიური თუ პოლიტიკური იდენტურობის გამომხატველია; ყოველივე ამის გათვალისწინება წარმოადგენს მუზეუმების მნიშვნელოვან ვალდებულებას.

კოლექციების წარმომავლობა

6.1. თანამშრომლობა

მუზეუმებმა ცოდნა კოლექციებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შესახებ უნდა გაუზიარონ იმ ქვეყნებსა თუ რეგიონების მუზეუმებსა და სხვა კულტურულ დაწესებულებებს, საიდანაც მათი ეს ექსპონატები წარმოდგება. მიზანშეწონილია თანამშრომლობის განვითარება იმ ქვეყნებთან და რეგიონებთან, რომლებმაც დაკარგეს თავიანთი მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილი.

6.2. კულტურულ ფასეულობათა დაბრუნება

მუზეუმი განწყობილი უნდა იყოს კულტურულ ფასეულობათა დაბრუნების შესახებ დიალოგის წარსამართავად იმ ქვეყანასა თუ რეგიონთან, საიდანაც ეს ფასეულობები მომდინარეობს. ეს დიალოგი უეჭველად უნდა იყოს მიუკერძოებელი, ემყარებოდეს მეცნიერულ, პროფესიულ და ჰუმანიტარულ პრინციპებს და ხორციელდებოდეს ადგილობრივი, ეროვნული თუ საერთაშორისო კანონმდებლობის სათანადო დებულებების გათვალისწინებით (სასურველია მოქმედება სამთავრობო და პოლიტიკურ დონეებზე).

6.3. კულტურულ ფასეულობათა რესტიტუცია

როდესაც რომელიმე ერი ან ჯგუფი სათანადო მტკიცებულებების საფუძველზე ითხოვს საერთაშორისო თუ ეროვნული შეთანხმებების დარღვევით გატანილი, ან სხვა უკანონო გზით გადაცემული ნივთის ან ნიმუშის დაბრუნებას და როდესაც დასაბუთებულია, აგრეთვე, რომ ეს ნივთები ან ნიმუშები ნამდვილად მათი კულტურის თუ ბუნების მემკვიდრეობას წარმოადგენს, მაშინ მუზეუმმა, თუკი კანონი მას ამის საშუალებას აძლევს, სწრაფად უნდა მიიღოს სათანადო ზომები ნივთების დაბრუნების ხელშესაწყობად.

6.4. დაპყრობილი ქვეყნიდან მომდინარე კულტურული ფასეულობები

მუზეუმებმა თავი უნდა შეიკავონ ოკუპირებული ქვეყნიდან მომდინარე ნივთების შექმნისგან. აგრეთვე მკაცრად უნდა დაიცვან საერთაშორისო შეთანხმებები ბუნებისა და კულტურის ფასეულობათა გატანის, შემოტანისა და გადაცემის შესახებ.

მუზეუმი პატივს სცემს საზოგადოების იმ ჯგუფებს და სხვადასვა ტიპის გაერთიანებებს, რომლებსაც ემსახურება

6.5. დღეს არსებული გაერთიანებები

თუ მუზეუმს განზრახული აქვს ითანამშრომლოს საზოგადოების რომელიმე ჯგუფთან და შეიძინოს მისი მემკვიდრეობა, ეს უნდა მოხდეს მხოლოდ ნათლად ჩამოყალიბებული, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, როდესაც გათვალისწინებული იქნება ორივე მხარის ინტერესები, მესაკუთრისა და ინფორმატორის ინტერესთა ჩათვლით. უპირატესი უნდა იყოს ამ ჯგუფისა თუ გაერთიანების სურვილი.

6.6. მუზეუმის საქმიანობის და სხვადასხვა ტიპის გაერთიანებების დაფინანსება

მუზეუმის მიერ თანხების მოზიდვისას იმ ღონისძიების დასაფინანსებლად, რომელშიც განზრახულია არსებული გაერთიანების მონაწილეობა, სავალდებულოა ამ გაერთიანების ინტერესების გათვალისწინება (1.10).

6.7. დღეს არსებული ჯგუფებისა და სხვადასხვა ტიპის გაერთიანებებიდან მომდინარე კოლექციების გამოყენება

დღეს არსებული ჯგუფებისა და გაერთიანებებიდან მომდინარე კოლექციების გამოყენება უნდა მოხდეს ადამიანური ღირსების და ამ საზოგადოების კულტურისა და ტრადიციებისადმი პატივისცემით, მათი ყოფისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით – ტოლერანტობის, პატივისცემის გრძნობის, მულტსოციალური, მულტიკულტურული და მულტილინგვისტურია ურთიერთობების განვითარებისათვის. (4.3).

6.8. დამხმარე ორგანიზაციები

მუზეუმები უნდა ცდილობდნენ სასურველი გარემო შექმნან საზოგადოებრივი დახმარების პროგრამების ასამოქმედებლად (მაგ. მუზეუმების მეგობართა და სხვა ხელშეწყობი ასოციაციებისათვის). საჭიროა ამ ურთიერთობების ოფიციალურად გაფორმება და ამ ასოციაციებსა და მუზეუმის პერსონალს შორის ჰარმონიული ურთიერთობების ხელშეწყობა და განვითარება.

7. მუზეუმები მოქმედებენ კანონის ფარგლებში

მთავარი პრინციპები: მუზეუმებმა უნდა იმოქმედონ საერთაშორისო, ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი კანონმდებლობისა და ხელშეკრულებების საფუძველზე. ამასთანავე, ხელმძღვანელი ორგანო უნდა ასრულებდეს მუზეუმების მართვის, სამუზეუმო კოლექციების და მუზეუმების ფუნქციონირების შესახებ არსებული კანონებით ან სხვა პირობებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

საკანონმდებლო ბაზა

7.1. ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობა

მუზეუმებმა უნდა იმოქმედონ ადგილობრივი და ეროვნული კანონების შესატყვისად; აგრეთვე უნდა სცნონ იმ სახელმწიფოთა კანონები, რომელ სახელმწიფოებთანაც მათ მოუწევთ თანამშრომლობა.

7.2. საერთაშორისო კანონმდებლობა

მუზეუმის პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს იმ საერთაშორისო დოკუმენტებს, რომლებიც წარმოადგენს ნორმას ICOM- ის სამუზეუმო ეთიკის კოდექსის გაგებისათვის. ეს დოკუმენტებია:

- კონვენცია შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის შესახებ (ჰააგის კონვენციის 1954 და 1999 წლების პროტოკოლები);
- UNESCO-ს კონვენცია კულტურულ ფასეულობათა უკანონო იმპორტის (შემომტანის), ექსპორტისა (გატანის), და ტრანსფერის (გადაცემი) აკრძალვის შესახებ (1970 წ.);
- კონვენცია გადაშენების საშიშროების წინაშე მდგარი ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ (ვაშინგტონი, 1973 წ.);
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ (1992 წ.);
- UNIDRIOT-ის კონვენცია მოპარული და უკანონოდ გატანილი კულტურული ფასეულობების შესახებ (1995 წ.);
- UNESCO-ს კონვენცია წყალქვეშა კულტურული მემკვიდრეობის შესახებ (2001 წ.);
- UNESCO-ს კონვენცია სულიერი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ (2003 წ.);

8. მუზეუმები მოქმედებენ პროფესიულად

მთავარი პრინციპი: სამუზეუმო პროფესიის წარმომადგენელთა ვალდებულებაა დაიცვან არსებული წესები და კანონები და საკუთარი პროფესიული ღირსება, საზოგადოებას აარიდონ ყოველგვარი არაკანონიერი, არაპროფესიული და არაეთიკური ქმედება; ყველა ღონე იხმარონ, რომ გააცნობიერებინონ მას სამუზეუმო პროფესიის მიზნები, ამოცანები და მუზეუმის როლი საზოგადოების განვითარების საქმეში.

პროფესიული ქცევა

8.1. შესაბამისის კანონების ცოდნის აუცილებლობა

სამუზეუმო პროფესიის ყველა წარმომადგენელი უნდა ერკვეოდეს დარგის პოლიტიკაში, იცნობდეს შესაბამის ადგილობრივ, ეროვნულ თუ საერთაშორისო კანონებს და მათი გამოყენების პირობებს. ეს მუზეუმის პროფესიონალს საშუალებას მისცემს თავიდან აიცილოს იმგვარი სიტუაცია, რომლის პირობებშიც მისი საქციელი შეიძლება განიხილებოდეს, როგორც კანონსაწინააღმდეგო.

8.2. პროფესიული პასუხისმგებლობა

სამუზეუმო პროფესიის წარმომადგენელთა ვალდებულებაა დაიცვან საკუთარი დაწესებულების პოლიტიკა და სავალდებულო პროცედურები. მათ შეუძლიათ არ დაეთანხმონ ისეთ წინადადებებსა და ქმედებებს, რომლებიც ობიექტურად საზიანოა მუზეუმისათვის და ეწინააღმდეგება პროფესიული ეთიკის მოთხოვნებს.

8.3. პროფესიული ქცევა

კანონზე დაფუძნებული დამოკიდებულება კოლეგებისა და დამქირავებელი მუზეუმის მიმართ არის საერთო და მნიშვნელოვანი პროფესიული ვალდებულება და მთლიანად ეფუძნება პროფესიული ეთიკის ფუნდამენტურ მოთხოვნებს. მუზეუმის პროფესიონალის ქცევა უნდა შეესატყვისებოდეს ICOM-ის სამუზეუმო ეთიკის კოდექსის ნორმებს, აგრეთვე, მუზეუმებთან დაკავშირებულ პოლიტიკასა და ეთიკის სხვა კოდექსებს.

8.4. ინტელექტუალური და სამეცნიერო პასუხისმგებლობა

სამუზეუმო პროფესიის წარმომადგენლებმა ხელი უნდა შეუწყოთ ექსპონატებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოკვლევას, დაცვასა და გამოყენებას. აქედან გამომდინარე, მათ თავიდან უნდა აიცილონ ისეთი საქმიანობა თუ სიტუაცია, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს ინტელექტუალური და სამეცნიერო მონაცემების დაკარგვა.

8.5. უკანონო ვაჭრობა

დაუშვებელია, სამუზეუმო პროფესიის წარმომადგენლის პირდაპირი თუ არაპირდაპირი მონაწილეობა ბუნებისა და კულტურული ფასეულობებით სპეკულაციასა და არაკანონიერ ვაჭრობაში.

8.6. კონფიდენციალურობა

სამუზეუმო პროფესიის წარმომადგენელთა ვალდებულებაა დაიცვან მუშაობის პროცესში მოპოვებული კონფიდენციალური ინფორმაცია. კონფიდენციალურია ინფორმაცია მუზეუმისათვის საიდენტიფიკაციოდ გადაცემული ნივთების შესახებაც; დაუშვებელია მისი გამოქვეყნება, სხვა დაწესებულებისა ან პირისათვის გადაცემა ამ ნივთის შესაკუთრის სპეციალური ნებართვის გარეშე.

8.7. მუზეუმისა და კოლექციების უსაფრთხოება

მუზეუმის პროფესიონალთა ვალდებულებაა დაიცვან ინფორმაცია მუზეუმებისა და კოლექციების უსაფრთხოების, აგრეთვე, კერძო პირების კუთვნილი საცავების შესახებ, რომელთა მონახულება მათ უხდებათ თავიანთი პროფესიული მოვალეობის შესრულებისას, რადგანაც ეს ინფორმაცია მკაცრად კონფიდენციალურია.

8.8. გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც არ არის საჭირო კონფიდენციალურობის დაცვა

კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება არ გამორიცხავს ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობას მოპარული ან არალეგალურად შეძენილი თუ გასხვისებული ნივთების შესახებ პოლიციის ან სათანადო კომპეტენციის ორგანოებისათვის, მათთვის დახმარების გაწევის მიზნით.

8.9. პირადი დამოუკიდებლობა

მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი პროფესიის წარმომადგენელი ფლობს დამოუკიდებლობის გარკვეულ ხარისხს, მუზეუმის თანამშრომელს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ მისი ყოველი კერძო, თუ არასამსახურეობრივი პროფესიული საქმიანობა, გამორიცხულია, რომ გარკვეულწილად არ დაუკავშირდეს მისი დაწესებულების საქმიანობას.

8.10. პროფესიული ურთიერთობები

სამუზეუმო დარგის წარმომადგენლებს, მათი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მრავალ ადამიანთან უწევთ საქმიანი კონტაქტების დამყარება საკუთარ დაწესებულებაში თუ მის გარეთ; იგულისხმება, რომ პროფესიულ სამსახურს ისინი გასწევენ კვალიფიციურად და მაღალ დონეზე.

8.11. პროფესიული თანამშრომლობა

იმ შემთხვევაში, როდესაც მუზეუმის თანამშრომელს არ გააჩნია სათანადო კომპეტენცია ეფექტური გადაწყვეტილების მისაღებად, მისი პროფესიული ვალდებულებაა კონსულტაციისათვის მიმართოს კოლეგებს დაწესებულების შიგნით, თუ მის გარეთ.

ინტერესთა კონფლიქტი

8.12. ჩუქება, ძღვენი. სესხება ან სხვა პირადი სარგებელი

დაუშვებელია, რომ მუზეუმის თანამშრომელმა მიიღოს საჩუქარი, დახმარება, სესხი ან რაიმე სხვა პირადი სარგებელი, რომელიც მას შესაძლოა შესთავაზონ მისი სამსახურეობრივი მდგომარეობის გამო. პროფესიული თავაზიანობა უშვებს საჩუქრის მირთმევას ან მიღებას, მაგრამ ეს უნდა გაკეთდეს მხოლოდ შესაბამისი დაწესებულების სახელით.

8.13. გარეშე სამსახური

მიუხედავად იმისა, რომ სამუზეუმო საქმის პროფესიონალებს აქვთ გარკვეული პირადი დამოუკიდებლობა, მათ შეგნებული უნდა ჰქონდეთ, რომ მუზეუმს გარეთ ამ პროფესიულ სფეროში მათი კერძო სამსახური ან სხვა საქმიანობა, შეუძლებელია სრულიად დამოუკიდებელი იყოს მათი დაწესებულების საქმიანობისაგან. ამიტომ ისინი არ უნდა დათანხმდნენ გარეშე შემოსავალს და მუზეუმის გარეთ მათ არ უნდა დაიკავონ რაიმე ხელფასიანი ადგილი, რაც იქნება, ან შეიძლება ჩაითვალოს მუზეუმის ინტერესის საწინააღმდეგოდ.

8.14. კულტურისა და ბუნების მემკვიდრეობის ნიმუშებით ვაჭრობა

დაუშვებელია მუზეუმის პროფესიონალის პირდაპირ თუ არაპირდაპირ მონაწილეობა კულტურისა თუ ბუნების მემკვიდრეობის ნიმუშებით ვაჭრობაში (იგულისხმება ყიდვა ან გაყიდვა პირადი მოგების მიღების მიზნით).

8.15. მოვაჭრეებთან ურთიერთობა

დაუშვებელია, რომ მუზეუმის პროფესიონალმა მოვაჭრისაგან, გამყიდველისაგან ან აუქციონის კომისრისაგან მიიღოს ნებისმიერი ფორმით შეთავაზებული საჩუქარი, ძღვენი, ან მონაწილეობა მიიღოს რაიმე გარიგებაში, რომლის მიზანია კანონის შემოვლით ნივთის ყიდვის, გაყიდვის ან მუზეუმის ადმინისტრაციისაგან რაიმე უფლების ან ნებართვის მოპოვება. სრულიად დაუშვებელია, აგრეთვე, რომ მან ნივთის შექენით ან გაყიდვით დაინტერესებულ პიროვნებასთან რეკომენდაცია გაუწიოს რომელიმე მოვაჭრეს, აუქციონის კომისარს, ან ექსპერტს.

8.16. კერძო კოლექციები

მუზეუმის პროფესიონალმა მუზეუმს ნივთების შექენასა და შეგროვებაში კონკურენცია არ უნდა გაუწიოს. თუ მუზეუმის პროფესიონალი აგროვებს რაიმე კოლექციას, მაშინ ამ პირსა და ხელმძღვანელ ორგანოს შორის უნდა გაფორმდეს ხელშეკრულება, რომლის პირობების ზედმიწევნით დაცვაც აუცილებელია.

8.17. ICOM- ის სახელისა და ლოგოს გამოყენება

დაუშვებელია, რომ ICOM- ის წევრებმა, „მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს“ სახელით, ასევე მისი აბრევიატურა – ICOM ან ორგანიზაციის ლოგო, გამოიყენონ რაიმე კომერციული ოპერაციის ან პროდუქციის რეკლამირებისათვის.

8.18. ინტერესთა სხვა შესაძლებელი კონფლიქტი

პიროვნებასა და მუზეუმს შორის წამოჭრილი რაიმე სხვა კონფლიქტის დროს უპირატესია მუზეუმის ინტერესი.

კოდექსში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

შემოსავლის მომტანი საქმიანობა

საქმიანობა, რომელსაც დაწესებულებისათვის შეუძლია ფინანსური მოგების ან სარგებლის (შეღავათის) მოტანა.

ხელმძღვანელი ორგანო

პირები ან ორგანიზაციები, რომელთაც მუზეუმის იურიდიული სტატუსის განმსაზღვრელი საკანონმდებლო დოკუმენტებით მინიჭებული აქვთ მუზეუმების მუდმივობის, სტრატეგიული განვითარებისა და დაფინანსების უზრუნველყოფის პასუხისმგებლობა.

ინტერესთა კონფლიქტი

კერძო ან პირადი პროფესიული სიტუაციის შეფასებისას აზრთა პრინციპული სხვადასხვაობა, რაც თავის მხრივ, უარყოფითად იმოქმედებს ობიექტური გადაწყვეტილების მიღებაზე.

კონსერვატორ-რესტავრატორი

სათანადო კომპეტენციის მქონე, მუზეუმის ან დამოუკიდებელი მუშაკი, რომელსაც შეუძლია ტექნიკურად გამართულად წარმართოს კულტურულ ფასეულობათა

კვლევა, კონსერვაცია, რესტავრაცია და დაცვა (სრული ინფორმაციისათვის იხ. კრებულია Les nouvelles de l'ICOM 39 (1) (გვ. 5-6 1986 წ.).

ექსპერტიზა

ხელოვნებისა და სხვა ნიმუშის იდენტიფიკაცია და მისი ფულადი ღირებულების დადგენა. ზოგიერთ ქვეყანაში ეს არის საგადასახადო შეღავათების მიღების მიზნით საჩუქრად შეთავაზებული ნივთის დამოუკიდებელი შეფასება.

მუზეუმი 1

მუზეუმი არის არაკომერციული, ღია, მუდმივმოქმედი დაწესებულება, რომელიც ემსახურება საზოგადოებას და ამ მიზნით შეიძენს, იცავს, შეისწავლის და პოპულარიზაციას უწევს ადამიანისა და მისი საარსებო გარემოს ამსახველ მატერიალურ და არამატერიალურ საბუთებს.

მინიმალური ნორმა

ნორმა, რომლის დაცვას, ჩვეულებრივ, უნდა ცდილობდეს ყველა მუზეუმი და მისი თანამშრომელი. ზოგიერთ ქვეყანას აქვს საკუთარი კრიტერიუმები ამ მოთხოვნების დასადგენად.

თანმიმდევრული და დეტალური გამოკვლევის ვალდებულება

ნივთის შექენამდე ან გამოყენებამდე მისი ისტორიისა და წარმომავლობის თანმიმდევრული და დეტალური გამოკვლევის აუცილებლობა.

არაკომერციული მიზნის მქონე ორგანიზაცია

ოფიციალურად რეგისტრირებული ორგანიზაცია, რომლის შემოსავალი (მოგების ჩათვლით) ხმარდება მხოლოდ ამ ორგანიზაციას და მის ფუნქციონირებას. ტერმინი „კომერციული მიზნის არმქონე“ იგივე მნიშვნელობით იხმარება.

კულტურული მემკვიდრეობა

ესთეტიკური, ისტორიული, სამეცნიერო თუ სულიერი ღირებულებების მქონე ნებისმიერი ნივთი თუ კონცეფცია.

ბუნების მემკვიდრეობა

საზოგადოებისათვის განსაკუთრებული ღირებულებისა და სამეცნიერო თუ სულიერი მნიშვნელობის მქონე ბუნების ფენომენი.

მუზეუმის პროფესიონალი 1

მე-2 თავის განსაზღვრების შესატყვისი მუზეუმის ტიპის დაწესებულებებისა და მუზეუმების ყველა ხელფასიანი თუ უხელფასო თანამშრომელი, რომელსაც მიღებული აქვს სპეციალური განათლება ან გააჩნია მუზეუმის მართვის ან მის რომელიმე სფეროში მუშაობის სათანადო გამოცდილება; აგრეთვე დამოუკიდებელი პირი, რომელიც აღიარებს სამუზეუმო ეთიკის კოდექსს და დგას მუზეუმებისა და ზემოხსენებული დაწესებულებების სამსახურში, გარდა სამუზეუმო აღჭურვილობისა და მუზეუმების მომსახურებისათვის განკუთვნილი კომერციული ნაწარმით ვაჭრობისა და გასაღების ხელშეწყობაში ჩართული პირებისა.

წარმომავლობა

ნივთის სრული ისტორია მისი აღმოჩენისა თუ შექმნის მომენტიდან დღემდე, რაც მისი ავთენტიურობისა და კუთვნილების საკითხის დადგენის საშუალებას იძლევა.

საკუთრების კანონიერი უფლება

კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობით აღიარებული საკუთრების უფლება. შესაძლოა ზოგიერთი ქვეყნის კანონებით არ იყოს გათვალისწინებული ნივთის სრული ისტორიის დეტალური გამოკვლევის აუცილებლობა.

საკუთრების ნამდვილი უფლება

კონკრეტული ნივთის სრული ისტორიის დეტალური გამოკვლევის საფუძველზე დადგენილი საკუთრების ნამდვილი უფლება.

კომერციული გარიგება

ნივთის ყიდვა ან გაყიდვა პირადი ან დაწესებულებისათვის მოგების მოტანის მიზნით.

შენიშვნა: ICOM-ის სამუზეუმო ეთიკის კოდექსში გამოყენებული ტერმინები მუზეუმი და მუზეუმის პროფესიონალი პირობითი ტერმინებია. ICOM-ის წესდებაში გამოყენებული ტერმინები მუზეუმი და მუზეუმის პროფესიონალი ძალაში რჩება ამ დოკუმენტის საბოლოო შესწორებამდე.